



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 16 ივნისი

**დისციპლინური საქმე №46/21-1
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

-- -- წარმომადგენლის, -- -- 2021 წლის 20 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 29 აპრილის №144/46-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 29 აპრილის №145/46-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- სადავო საქმეზე 2020 წლის 17 ნოემბერს მიიღო სრულიად დაუსაბუთებელი, უკანონო და ტენდენციური გადაწყვეტილება. სასამართლომ არ განიხილა სარჩელი, ძირითადად იმსჯელა შეგებებული სარჩელის უკანონო მოთხოვნებზე და არასწორად დაადგინა, რომ სესხის ხელშეკრულება იყო თვალთმაქცური.

1.2. საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლემ რამდენჯერმე სრულიად უსაფუძველოდ გადადო საქმის განხილვა და ამით, ხელი შეუწყო საქმის განხილვის გაჭიანურებას. საქმის განხილვის დროულად დასრულებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მხარეებისათვის, რადგან მცირდებოდა სადავო ქონების ღირებულება. გარდა ამისა, მოსამართლე მხარეებს საქმის განხილვის გადადების თაობაზე ატყობინებდა სასამართლო სხდომის წინა დღეს ან უშუალოდ სასამართლო სხდომაზე.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 27 აგვისტოს -- -- წარმომადგენელმა, -- -- სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, საკუთრების უფლების აღიარების და მოძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს (მოპასუხეები - -- --, -- --). სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სარჩელი ასევე შეიცავდა მოთხოვნას სადავო ავტომობილზე ყადაღის დადების თაობაზე. საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა.

2019 წლის 27 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა სარჩელის ავტორის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ყადაღა დაედო -- -- საკუთრებაში არსებულ სადავო ავტომობილს.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, -- -- 2019 წლის 27 აგვისტოს განჩინების ჩაბარება ვერ მოხერხდა. ამდენად, ხსენებული განჩინების მოპასუხისათვის ჩაბარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს დაევალა (2019 წლის 24 სექტემბრის განჩინებით).

2019 წლის 30 სექტემბერს მოპასუხეებმა წარმოადგინეს შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმნენ სასარჩელო მოთხოვნებს.

2019 წლის 04 ოქტომბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 05 ნოემბერს.

2019 წლის 04 ნოემბერს მოპასუხეებმა სასამართლოს წარუდგინეს შეგებებული სარჩელი, რომლითაც სადავო ხელშეკრულების თვალთმაქცურ გარიგებად აღიარება მოითხოვეს.

2019 წლის 20 ნოემბერს -- -- სასამართლოს წარუდგინა შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა შეგებებული სარჩელის მოთხოვნებს.

2019 წლის 28 ნოემბრიდან 2020 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით საქმეზე ჩატარდა 4 მოსამზადებელი სხდომა. მოსამართლემ განიხილა მხარეთა შუამდგომლობები და მიიღო შესაბამისი განჩინებები.

2020 წლის 25 აგვისტოს -- -- სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც სესხის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სადავო ნივთზე საკუთრების უფლების აღიარება და ამ ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა მოითხოვა.

2020 წლის 15 სექტემბერს -- -- და -- -- სასამართლოს წარუდგინეს დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებელი.

2020 წლის 13 ოქტომბერს -- -- სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც სადავო ხელშეკრულების თვალთმაქცურ გარიგებად აღიარება მოითხოვა. აღნიშნულ სარჩელზე შესაგებელი -- -- სასამართლოს წარუდგინა 2020 წლის 21 ოქტომბერს.

2020 წლის 02 ოქტომბრიდან 2020 წლის 17 ნოემბრამდე საქმეზე ჩატარდა 3 სასამართლო სხდომა.

2020 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, აღიარებულ იქნა -- -- საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე. -- -- მოთხოვნა მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებულად ჩათვლის და ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა. -- -- შეგებებული სარჩელი -- -- მიმართ დაკმაყოფილდა სრულად, -- -- და -- -- შორის არსებული ურთიერთობა აღიარებულ იქნა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებად და შსს მომსახურების სააგენტოში -- -- სასარგებლოდ დარეგისტრირდა გირავნობის უფლება სადავო ავტომობილზე.

2020 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება -- -- სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა 2020 წლის 15 დეკემბერს. წინამდებარე გადაწყვეტილების მომზადების დროისთვის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში არ დასრულებულა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინებების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებისა თუ განხორციელებული ქმედების შემოწმებას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტში) არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. --- წარმომადგენლის, --- 2021 წლის 20 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე მოსამართლე --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების ნაწილში.
2. გაგრძელდეს №46/21 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე - --- მიმართ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი